ვამაყობთ მრავალფეროვნებით!

გზამკვლევი

# ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019



## მდგრადი განვითარების მიზნები



SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

მოგესალმებით და გაცნობებთ,

რომ CENN, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს პარლამენტთან ერთად, აცხადებს სასკოლო კონკურსს ნიკო კეცხოველის 2019 წლის პრემიის მოსაპოვებლად. წლევანდელი თემაა – მდგრადი განვითარების მიზნები.

წინამდებარე საკონკურსო ინსტრუქცია ეგზავნება ყველა სკოლას ელექტრონულად. გთხოვთ, ტექსტი ხელმისაწვდომი გახადოთ ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლისა და პედაგოგისათვის.

დამატებით დაიბეჭდება კონკურსის პოსტერები და მოგეწოდებათ რესურსცენტრების საშუალებით – სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას გამოსაკვრელად.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონკურსო წელი გრძელდება 2018 წლის მაისიდან 2019 წლის მარტამდე, სასურველია, პლაკატები გამოკრული იყოს როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი სასწავლო წლის პერიოდში.

კონკურსის ფარგლებში,  საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ჩატარდება გადამზადების კურსები პედაგოგებისათვის, სადაც სკოლებს მიეწოდებათ დეტალური საკონკურსო ინსტრუქცია; ასევე, სკოლებთან კომუნიკაცია გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის და გისურვებთ წარმატებებს.

**პატივისცემით,**
საორგანიზაციო ჯგუფი

ინიციატივა ხორციელდება პროექტის – *ტყის მდგრადი მართვა საქართველოში* ფარგლებში, რომლის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC).



# კონკურსის მიზნები

## გარემოსდაცვითი განათლებისა და სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა

- მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში და ადგილობრივ თემში

- გარემოსდაცვითი და სათემო ინიციატივების, პროექტების მართვის, დოკუმენტაციის წარმოების, წერის, ვიზუალიზაციის, კომუნიკაციის უნარების განვითარება სკოლაში და ადგილობრივ საზოგადოებაში

## სათემო განვითარების შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა, იდეების ინკუბაცია სათემო და კერძო ინიციატივებისათვის

- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, სათემო განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესში

- ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება

## დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება

- მოსწავლეების, პედაგოგებისა და თემის გაძლიერება გარემოსდაცვითი საკითხების კვლევასა და ადვოკატირებაში







# როგორ ჩავერთოთ კონკურსში



1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შექმნათ სკოლის გუნდი და დარეგისტრირდეთ პორტალზე - forestry.ge, კონკურსების განყოფილებაში. ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულოა გასული წლის კონკურსის მონაწილეებისათვისაც.

2. გუნდის წევრების მაქსიმალური რაოდენობა – 10 მონაწილე. (რეკომენდებულია პედაგოგის ჩართულობა).

3. ქულის მოსაპოვებლად კონკურსში დარეგისტრირებულმა გუნდმა თითოეული აქტივობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს კონკურსის ადმინისტრაციას. ამისათვის შექმნილია მარტივი სისტემა ვებგვერდზე forestry.ge, კონკურსების განყოფილებაში, სადაც რეგისტრირებული სკოლა ამატებს საკონკურსო მასალას ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

4. მასალის ასატვირთად საჭიროა აქტივობის შესაბამისი კატეგორიის შერჩევა.

5. ინფორმაცია შეიძლება აიტვირთოს ტექსტის, ფოტოს/ფოტოების, ვიდეოს ბმულის, რუკის სახით, ან კომბინირებულად.

6. ატვირთული ინფორმაცია საიტზე განთავსდება მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეში.

7. გადაამოწმეთ პორტალი და დარწმუნდით, რომ თქვენი ინფორმაცია ნამდვილად გამოქვეყნებულია. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კონკურსის ადმინისტრატორმა შესაბამისი ქულით შეგაფასათ.

8. პორტალი შესაძლებლობას გაძლევთ, გაეცნოთ სხვა სკოლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

# როგორ

## დავაგროვოთ ქულები

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ჩამოაყალიბეთ სკოლის გუნდი, გაიარეთ რეგისტრაცია პორტალზე forestry.ge/ketskhoveli, გაეცანით მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) და დაიწყეთ ქულების დაგროვება:**

**200 ქულა** — მოაწყვეთ სამუშაო შეხვედრა გუნდის მიერ შერჩეულ კონკრეტულ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან/პირებთან [1]. პორტალზე ატვირთეთ შეხვედრის ფოტოები, დღის წესრიგი, მონაწილეთა სია

**100 ქულა** — შეიმუშავეთ სამოქმედო/სამუშაო გეგმა შერჩეული, განხილული და შეთანხმებული გარემოსდაცვითი ღონისძიების განსახორციელებლად

**200 ქულა** — გეგმის შესაბამისად განახორციელეთ შემდეგი სახის სათემო აქტივობა: [2]

- კვლევა/მონიტორინგი
- ტრენინგი/სემინარი
- დოკუმენტის/პროექტის მომზადება
- სასკოლო/სათემო აქცია (დასუფთავება, გამწვანება, „მწვანე" კამპანია, გარემოსდაცვითი დღეები, ფესტივალი...)
- მონაწილეობა კამპანიაში „გარემოს გულისთვის" **(WMTR/USAID)**

**50 ქულა** — მოამზადეთ საავტორო სტატია [3]

**200 ქულა** — საკუთარი აქტივობა გააშუქეთ რადიოს, ტელევიზიის, ბეჭდური და ინტერნეტ მედიის საშუალებით (სოციალური ქსელების გარდა)

**50 ქულა** — სასკოლო/სათემო ღონისძიებაში ჩართეთ ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი

**100 ქულა** — სკოლის/გუნდის სახელით ჩაერთეთ სახელმწიფო ღონისძიებაში [4]

**200 ქულა** — გააფორმეთ მემორანდუმი საკონკურსო თემატიკაზე თანამშრომლობის შესახებ პარტნიორ ორგანიზაციასთან [5]

**100 ქულა** — გამოგვიგზავნეთ გარემოსდაცვითი პრობლემის ამსახველი ფოტო, მცირე ტექსტური აღწერით, **Green Watch**-ის ან საზოგადოებრივი მონიტორინგის რუკის მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებულია პორტალზე **forestry.ge**

**200 ქულა** — დაეხმარეთ სხვა სკოლას, შექმნას გუნდი და მისი მხარდაჭერის მიზნით განახორციელეთ ღონისძიება

**200 ქულა** — დაგეგმეთ და განახორციელეთ აქტივობა ორი ან რამდენიმე სკოლის მონაწილეობით (ქულა ეწერება ერთობლივ ღონისძიებაში ჩართულ სკოლებს ცალ-ცალკე თითოეული მათგანის მიერ ატვირთული ინფორმაციის საფუძველზე)

**500 ქულა** — საკონკურსო თემატიკის შესაბამისად ჩაერთეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამაში: „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა", მოიპოვეთ დაფინანსება და დანერგეთ საკუთარ სკოლაში

**100 ქულა** — ჩაატარეთ თავისუფალი გაკვეთილი „აღმოაჩინე საქართველოს" პროგრამის მიხედვით (დაფინანსების გარეშე) [6]

**200 ქულა** — გაიარეთ ნიკო კეცხოველის წიგნებში **(forestry.ge/books)** აღწერილი ან **forestry.ge**-ს რუკაზე რეკომენდებული მარშრუტი და გამოაქვეყნეთ ფოტო/ვიდეო და წერილობითი მასალა

**1 000 ქულა** — ნიკო კეცხოველის სასკოლო გუნდის სახელით მოიპოვეთ დაფინანსება და განახორციელეთ საკონკურსო თემატიკის შესაბამისი პროექტი

**100 ქულა** — ნებისმიერ საკონკურსო აქტივობაში ჩართეთ მეტყევე, ტყის მცველი, სატყეო სამსახურის წარმომადგენელი ან რეინჯერი

**100 ქულა** — ნებისმიერ საკონკურსო აქტივობაში ჩართეთ სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანი/ადამიანები (ვისაც დამოუკიდებლად ჩართვა არ შეუძლია)

### გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- ქულების დაგროვება არ მოითხოვს ყველა ჩამოთვლილი აქტივობის შესრულებას. სკოლის გუნდს შესაძლებლობა აქვს, საკუთარი შეხედულებებით შეარჩიოს მისთვის სასურველი .
- ქულის მისაღებად აუცილებელია,თითოეული აქტივობის შესახებ ინფორმაცია ატვირთოთ პორტალზე (FORESTRY.GE/KETSKHOVELI) და მიუთითოთ, მდგრადი განვითარების რომელ მიზანთან მოდის ის შესაბამისობაში.

**1** ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების, საზოგადოების, კერძო სექტორის, მედიის, ადგილობრივი მოსახლეობის ან მისი რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლები;

**2** კონკურსის ადმინისტრატორმა ქულა რომ მოგანიჭოთ, ანგარიშის ტექსტში (ტექსტი არ უნდა იყოს დაწერილი პირველ პირში) სრულყოფილად უნდა იყოს ასახული აქტივობის მიზანი და შედეგი

**3** სტატია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: **(1)** ტექსტის მოცულობა – მინიმუმ 100 სიტყვა; **(2)** ექსკლუზიურობა; **(3)** აქტუალობა; **(4)** კონკრეტიკა; ლიტერატურული და მხატვრული ტექსტები არ მიიღება

**4** საჯარო განხილვა, ტრენინგი, სემინარი, კულტურული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღონისძიება

**5** აღნიშნულ ქვეპუნქტში პარტნიორ ორგანიზაციად ჩაითვლება როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კერძო იურიდიული პირი

**6** თითოეული გაკვეთილი შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივობა და ანგარიშის ატვირთვის შემთხვევაში, მიიღებთ 100 ქულას

# ძირითადი თემატური მიმართულებები

## მდგრადი განვითარების მიზნები

- ტყეებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- სათემო განვითარება
- ენერგო გადაწყვეტილებები (ენერგოეფექტიანობა, მწვანე შენობები, ბიომასის წარმოება და მოხმარება, თბოიზოლაცია)
- ეკოტურიზმი
- ბუნებრივი კატასტროფების მართვა და პრევენცია
- ნარჩენების მართვა
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია
- წყალი, ჰიგიენა და სანიტარია
- ქალაქი / ურბანული გარემო
- გენდერი
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მხარდაჭერა
- სპეციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერა
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები

## გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- ქულების დაგროვება არ მოითხოვს ყველა ჩამოთვლილი კატეგორიის შესრულებას. სკოლას შესაძლებლობა აქვს, საკუთარი შეხედულებებით შეარჩიოს მისთვის სასურველი კატეგორია და დააგროვოს ქულები.
- ქულების დაგროვების სისტემა იძლევა ერთროულად რამდენიმე კატეგორიის მითითების შესაძლებლობას; მაგალითად, თუ სკოლა განახორციელებს დარგვის აქციას და ეს გაშუქდება მედიის საშუალებით, სკოლას დაეწერება აღნიშნული კომპონენტებისათვის გათვალისწინებული ქულათა ჯამი.
- ქულა ენიჭება სკოლის გუნდს და არა – მის რომელიმე წევრს.
- საუკეთესო გუნდები გადადიან ნახევარფინალში.
- ნახევარფინალური ტურის გამარჯვებულები, რეგიონული ქვოტების მიხედვით, გადადიან ფინალში.
- ნახევარფინალურ და ფინალურ ეტაპზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან კომპეტენტური ჟიურის მიერ 3 კომპონენტის მიხედვით:
  - **წლის განმავლობაში დაგროვილი ქულები**
  - **ეკოსპიკერი**
  - **პრეზენტაცია**

# კალენდარი





## ქულების დაგროვების პროცესი

1 მაისი, 2018 – 31 იანვარი, 2019

## რეგიონული ნახევარფინალები

თებერვალი–მარტი, 2019



## ფინალი



2019 წლის 21 მარტი

წყლების დაცვის საერთაშორისო დღე



# გაქვთ კითხვები ?
# დაუკავშირდით პროექტის რეგიონულ კოორდინატორებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| მაია კოდუა | სამეგრელო-ზემო სვანეთი | MAIA.KODUA@GMAIL.COM | 599 15 40 96 |
| ირაკლი მიქელაძე | აჭარა, გურია | IKA1978MIKELADZE@GMAIL.COM | 595 70 20 06 |
| ნანა სოხაძე | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | NANA.SOXADZE@YAHOO.COM | 551 58 62 07 |
| თამარ კაპანაძე | სამცხე-ჯავახეთი | TAMUNA.KAPANADZE78@GMAIL.COM | 555 88 38 83 |
| გიორგი იორამაშვილი | მცხეთა-მთიანეთი | IORAMGIO@GMAIL.COM | 595 13 13 46 |
| მაია კეზევაძე | იმერეთი | KEZEVADZEMAIA@GMAIL.COM | 595 50 16 51 |
| გიორგი დემურაშვილი | ქვემო ქართლი | KKPIC.BOLNISI@GMAIL.COM | 599 21 92 11 |
| კახა სუხიტაშვილი | კახეთი | KAKHIBERIUS@GMAIL.COM | 595 40 86 08 |
| მარიკო წიქორიძე | შიდა ქართლი | MARIKO7117@GMAIL.COM | 599 63 04 24 |
| ვანო გიოშვილი | თბილისი | VANO.GIOSHVILI@CENN.ORG | 597 979 606 |

